ღია მმართველობის პარტნიორობაში

საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

საბოლოო ანგარიში

(10 დეკემბერი , 2014 – 30 ნოემბერი, 2015)

პროექტის სახელწოდება: <u>ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა</u>
დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით: „საქართველოში საპარლამენტო სისტემის გაძლიერება“.
განმახორციელებელი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს პარლამენტი
გრანტის რაოდენობა: 149,700.30 USD
პროექტის ხანგრძლივობა: 10 დეკემბერი, 2014 – 30 ნოემბერი, 2015

<u>ზოგადი მიმოხილვა</u>

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს მთავრობის წარმატებული მონაწილეობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო ინიციატივაში აქტიური მონაწილეობა და მიჰყვა საპარლამენტო ღიაობის კუთხით OGP-ის გამორჩეული სახელმწიფოების მაგალითს. პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს პარლამენტის OGP-ში აქტიური ჩართულობის მხარდაჭერა, საკანონმდებლო საქმიანობის ღიაობისა და გამჭვირვალობის გაზრდა და საკანონმდებლო საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

<u>პროექტს ჰქონდა 3 კონკრეტული მიზანი:</u>

<u>მიზანი #1</u>: პარლამენტის წევრების ცნობიერების ამაღლება OGP-სა და საკანონმდებლო ღიაობაზე.

- ➔ საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა - ეროვნულ სამოქმედო გეგმებში არსებული გამორჩეულ საკანონმდებლო ინიციატივებზე კვლევის მომზადება;
- ➔ OGP-ზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სამუშაო შეხვედრის ორგანიზება.

<u>მიზანი #2</u>: საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და სამოქმედო გეგმის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცება.

- ➔ ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის კომპეტენციის განსაზღვრა;
- ➔ ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ➔ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შედგენა;
- ➔ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავების მიზნით საჯარო კონსულტაციების კოორდინაცია;
- ➔ გამოცდილების გაზიარება და სამუშაო ჯგუფის ჩართულობა OGP-ის საერთაშორისო ღონისძიებებში;

- ➔ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება საქართველოს პარლამენტის მიერ.

<u>მიზანი #3</u>: საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყება.

- ➔ სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში;
- ➔ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაწყება.

<u>პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები</u>

პროექტის განმავლობაში IDFI-ის გუნდი აქტიურად მუშაობდა პროექტის მიზნების შესრულებისა და OGP-ში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდასაჭერად.

პროექტის მთავარი მიღწევებია:

- ინტერ-ფრაქციული ჯგუფისა და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- სამოქალაქო საზოგადოებასა და საქართველოს პარლამენტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა;
- საქართველოს პარლამენტის მიერთება საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციასთან;
- ინტერ-ფრაქციული ჯგუფისა და სამუშაო ჯგუფის გასვლითი სამუშაო შეხვედრის გამართვა;
- საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- საქართველოს პარლამენტის თბილისის სასახლეში საკანონმდებლო ღიაობის კონფერენციის გამართვა;
- მექსიკაში გამართულ OGP-ის გლობალურ სამიტში მონაწილეობის მიღება;
- OGP-ის ჩემპიონთა ჯილდოს მოპოვება საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ;
- საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყება.

ამასთანავე, **პროექტის მიზნების მიხედვით განხორციელდა შემდეგი აქტივობები**:

<u>მიზანი #1</u>. პარლამენტარების ცნობიერების ამაღლება OGP-სა და საკანონმდებლო ღიაობაზე:

- ➔ პროექტის გუნდის აქტიური ადვოკატირების შედეგად შეიქმნა <u>საქართველოს პარლამენტის ინტერ-ფრაქციული ჯგუფი.</u> ჯგუფის წევრები პარლამენტის ყველა ფრაქციიდან არიან წარმოდგენილი, რათა პროცესში ჩართული იყოს ყველა პოლიტიკური გუნდი;
- ➔ <u>მომზადდა კვლევა</u>, რომელიც მოიცავდა OGP-ის სახელმწიფოებში საპარლამენტო ღიაობის საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას და ღია მმართველობის გზამკვლევის სარეკომენდაციო ვალდებულებებს. ინტერ-ფრაქციული ჯგუფის

წევრები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ კვლევას სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავების პროცესში;

- ➔ პროექტის გუნდმა, ცნობიერების ამაღლების მიზნით და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მხარდასაჭერად, მოაწყო სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრებმა;
- ➔ OGP-ის მხარდაჭერის დეპარტამენტმა და მსოფლიო ბანკის ჯგუფმა 17 ნოემბერს მოაწყო ინტერნეტ კონფერენცია თემაზე „2015 წლის მიმოხილვა და მზადება 2016 წლისთვის: საკანონმდებლო ღიაობა და ღია მმართველობის პარტნიორობა“. მსოფლიო ბანკის, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებთან ერთად, ინტერნეტ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო IDFI-ის დირექტორმა და პროექტის მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი კლდიაშვილმა. ინტერნეტ კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამუშაო ჯგუფის 2016 წლის გეგმის განხილვა და იდეების მოსმენა.

მიზანი #2. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცება:

- ➔ შეიქმნა საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ➔ პროექტის განმავლობაში ჩატარდა ინტერფრაქციული ჯგუფისა და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის 7 ერთობლივი შეხვედრა (აღნიშნულში არ არის გათვალისწინებული შეხვედრები, რომლებსაც ინტერფრაქციული და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფები ცალ-ცალკე მართავდნენ). შეხვედრების მიზანი სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავების მიზანი იყო. ბოლო ერთობლივი შეხვედრა ეხებოდა სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებას;
- ➔ საქართველოს პარლამენტის ბიურომ 2015 წლის 17 ივლისს დაამტკიცა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016 (მოიცავს 18 ვალდებულებას, 16 მათგანი სამოქალაქო საზოგადოების ინიცირებულია), მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მიიღო;
- ➔ პროექტის განმავლობაში შედგა 5 საერთაშორისო ვიზიტი: ინტერფრაქციული და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფის 7-მა წევრმა (სამოქალაქო საზოგადოების 3 წარმომადგენელი, 3 დეპუტატი და საქართველოს პარლამენტის აპარატის 1 წარმომადგენელი) მონაწილეობა მიიღო OGP-ის საერთაშორისო ღონისძიებებში;
- ➔ პროექტის გუნდი ფინანსური და ადამიანური რესურსით აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ღიაობის თაობაზე გამართული საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში („ღიაობის ვალდებულება: პარლამენტის სამოქმედო გეგმები, სტანდარტები და მეთოდები“), რომელიც თბილისში ჩატარდა 14-15 სექტემბერს. კონფერენციაში 30-ზე მეტი სახელმწიფოს 250

დელეგატი იღებდა მონაწილეობას. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ხოლო საქართველო OGP-ის წევრ ქვეყნებს შორის აღიარებულ იქნა ლიდერად საპარლამენტო ღიაობის მხივ;

- 27-29 ოქტომბერს, პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფისა და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მექსიკაში გამართულ OGP-ის გლობალურ სამიტში. ქართველი დელეგატები წარმოდგენილი იყვნენ სპიკერებად სამიტის რამდენიმე სესიაში;
- IDFI-იმ საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი წარადგინა (მოამზადა განცხადება და ვიდეო) OGP-ის ჩემპიონთა ჯილდოს ნომინაციაზე. 27 ოქტომბერს, მექსიკის სამოქალაქო საზოგადოების დღეს, ინტერფრაქციულმა ჯგუფმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა. ჯილდო განკუთვნილი იყო იმ სახელისუფლებო გუნდისთვის, რომელმაც ყველაზე აქტიურად გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

მიზანი #3. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყება:

- პროექტის განმავლობაში პროექტის გუნდმა საქართველოს პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები გამართა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გაიმართა ცნობიერების ასამაღლებელი 4 შეხვედრა (თბილისი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქუთაისი - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თელავი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; და სამტრედია - სამტრედიის მუნიციპალიტეტი);
- საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესში საზოგადოების როლის გაძლიერების მიზნით პროექტის გუნდმა ჩაატარა გამოკითხვა სოციალური ქსელის მეშვეობით, რომელიც პარლამენტს სამოქმედო გეგმაში შესატან გარკვეულ ინიციატივებს სთავაზობდა. გამოკითხვაში მონაწილეობა 1,280-მა ადამიანმა მიიღო, რომელთაგან 25%-მა შეავსო კითხვარი (ამათგან, 62% იყო ქალი, ხოლო 38% - კაცი). გამოკითხვის შედეგები ინტერფრაქციული ჯგუფისა და სამუშაო ჯგუფის ერთობლივ შეხვედრაზე განიხილეს და გაითვალისწინეს სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – მექსიკამ“ გამოაქვეყნა წიგნი – „ღია პარლამენტი, შედეგები და მოლოდინები“, რომლის თანაავტორი ასევე არის IDFI-ის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი. წიგნში გიორგი კლდიაშვილი აანალიზებს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმას (2015-2016).
- პროექტის განმავლობაში გამოქვეყნდა 74 ბლოგი (https://ogpblog.wordpress.com/), რომელიც შეეხებოდა OGP-ისთან დაკავშირებულ სიახლეებს, საპარლამენტო ღიაობის თემატიკას და სამოქმედო გეგმის ვალდებულებებს. პუბლიკაციების მიზანი იყო საქართველოს პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საპარლამენტო ღიაობაზე;

- ➔ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის გუნდმა გამართა კონკურსი „ღია პარლამენტი - ახალგაზრდების ხმა", რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტების 43 სტუდენტი იღებდა მონაწილეობა. კონკურსის მონაწილეებისათვის მოეწყო ტრენინგი (OGP-სა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე საჯარო პოლიტიკაში) და საქართველოს პარლამენტში ვიზიტი. კონკურსის ბოლო ეტაპზე მონაწილეებმა წარმოადგინეს საკუთარი ინიციატივები საპარლამენტო ღიაობის შესახებ. 15 შემოსული ინიციატივიდან 5 საუკეთესო ინიციატივის ავტორი დაჯილდოვდა სხვადასხვა სახის საჩუქრებით.
- ➔ საერთაშორისო და ადგილობრივი მედია, მათ შორის სოციალური მედია, აქტიურად აშუქებდა ინფორმაციას პროექტის შესახებ. პროექტის ირგვლივ ჯამში მომზადდა 50 სტატია და ტელე-გადაცემა. მრავალმა ტელე-მაუწყებელმა გადასცა პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე სიახლეები;
- ➔ 14 დეკემბერს ჩატარდა ინტერფრაქციული ჯგუფისა და სამუშაო ჯგუფის ერთობლივი შეხვედრა, სადაც მონაწილეებმა განიხილეს სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყება. სამოქმედო გეგმის ვალდებულებების ავტორებმა წარადგინეს კონცეფციები, თუ რა გზით შეიძლება დაინერგოს მათი ვალდებულებები;
- ➔ 18 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები რეგლამენტში და ჩაუყარა სამართლებრივი საფუძველი ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნას. საბჭოს შექმნის ინიციატივა IDFI-ს ეკუთვნის და იგი OGP-ის სახელმწიფოების წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება (მაგ. ჩილე, მექსიკა). რეგლამენტში ცვლილებების შეტანითა და ვალდებულების განხორციელების დაწყებით, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი.

დასკვნა

პროექტი „ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა" IDFI-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. IDFI, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით, აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ღია მმართველობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. შედეგად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის OGP-ის ინიციატივაში ჩართულობის უზრუნველყოფა წარმატებით განხორციელდა.

საქართველოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა არის გზამკვლევი OGP-ში საქართველოს პარლამენტის წარმატებული ჩართულობისათვის. გეგმის შემუშავების შედეგად, საქართველოს პარლამენტს შეუძლია გააგრძელოს OGP-ის პრინციპების შესაბამისად ვალდებულებების შემუშავების პრაქტიკა. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო იქნება ინსტიტუტი, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების შემუშავებას, განხორციელებასა და ზედამხედველობას.

პროექტის დირექტორი,

ლევან ავალიშვილი